საქართ. მუშათა სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500 ათასი მან. უკანასკნელზე 300,000 მან. განცხადება 10,000 ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6. ფოსტის ყუთი № 190. ტელეფონი 10—34.

გაზეთის ფასი ყველგან 5.000 მ.

№ 383

შაბათი, დეკემბერი 30

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა"

1923 წლის იანვრის პირველიდან ღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.

ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი 10—34 ფოსტის ყუთი № 190.

● რუსთაველის თეატრი ●

შაბათს 30 დეკემბერს

გუშინდელნი

№ 341 3—3

შაბათს, 30 დეკემბერს 1922 წ. საღამოს 6 საათზე

ალმასკომის ბინაზე შესდგება

ალმასკომის კომფრაქციის სხდომა.

ამავე დღეს საღამოს 7 საათზე ალმასკომის სხდომაა:

დღის წესრიგი:

ქალაქის საბჭოს ხელ-ახლად არჩევა და მიმდინარე კითხები.

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა. 1—1

მდივანი: ხუნდაძე

## მექრთამეობა

ერთი უსაშინელესი მტერი საბჭოთა სისტემისა და საერთოდ ყოველი სახელმწიფოსი არის მექთამეობა. მექთამეობა ფოკუსია, რომელშიაც თავს იყრის მთელი უარყოფითი თვისებები სახელმწიფოსა. მექრთამეობის ფაქტი საკმარისია, რომ ჩვენ ვიგრძნოთ სახელმწიფო აპარატის მოუწესრიგებლობა.

ამ დღეებში პეტროგრადის კორესპოდენტისაგან მივიღეთ ვრცელი წერილი, რომ მექრთამეობამ რუსეთში მეტად [illegible]ართო ხასიათი მიიღო და საბჭოთა [illegible]ავრობამ განსაკუთრებული ფრონტი [illegible]ახსნა ამ მოვლენის წინააღმდეგ. ჩვენ[illegible]აც მექრთამეობას არა ნაკლები ხასია[illegible]ი აქვს.

ეს მოვლენა შიგნიდან ღრღნის მშრომელთა ბატონობის საფუძველს და სპობს ფართო მასების ნდობას წყობილებისადმი.

მრავალი დაფარული კარიდორები და ოთახებია დღეს ჩვენ დედა ქალაქშიაც, რომელიც ბუდეა მექრთამეობის, მაგრამ მიგნება არც ისე ადვილი და მსუბუქი საქმეა,

სასტიკი კონტროლი, ყოველმხრივი ზედამხედველობა, გამუდმებული რევიზია და მკაცრი სასჯელი, თუ შესძლებს მექრთამეობის შესუსტებას.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ მექრთამეობის აღმოფხვრის შესახებ. ამ მოვლენის სავსებით განდევნისათვის საჭიროა ხალხის კულტურული მომზადება, სუბიექტიური სამზადისი საზოგადოების, რომელიც არ შეიძლება შექმნილ იქნეს ერთი ხელის დაკვრით. სანამ ზნეობრივ სიმაღლემდე არ ასულა ფართო წრეები საზოგადოებისა, მანამ მექრთამეობას სავსებით ვერ მოვსპობთ, მაგრამ სასტიკი ზომებით შევსძლებთ მის დაყვანას მინიმუმამდე.

მექრთამეობას ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატის სირთულე. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ამ მხრივ საჭიროა ყურადღება. სახელმწიფო აპარატის სიმარტივე იწვევს მიმდინარე მუშაობის გაადვილებას და მექრთამეობის შესუსტებას უწყობს ხელს.

ყოველივე ამასთან საჭიროა ხელფასის საკითხს მიექცეს ყურადღება. ხელფასის სიმცირე მექრთამეობის აუცილებლობას ქმნის. საარსებო მინიმუმით თუ მაინც ვერ დავაკმაყოფილეთ მუშა-მოსამსახურენი ვერავითარი იძულებითი ზომებით ვერ დავახწევთ თავს მექრთამეობას.

სახელმწიფომ ყოველ მხრივ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალყური უნდა ადევნოს თანამშრომელთა მოსაქმეობას.

საბჭოთა წყობილების მტრები არიან არა მარტო ისინი, რომელნიც პოლიტიკურად საფრთხეს წარმოადგენენ მუშათა ძალა-უფლებისათვის, არამედ ისინიც, ვინც თავისი ზნეობრივი სიმდაბლით სცემენ სახელმწიფოს პრესტიჟს, მის ავტორიტეტს.

ამ შემთხვევაში უნდა შეერთდეს სახელმწიფოს ყოველი ორგანო, მუშათა ორგანიზაციები, მოქალაქენი და ყველა პატიოსანი ადამიანი, რომ თავს დავესხათ პატარა კაცუნებს, რომელნიც აფორიაქებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და აფერხებენ სახელმწიფოებრივ მუშაობას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ქრთამი იღებს ხშირად ლეგალურ ხასიათს პროცენტების გადარიცხვით სახელმწიფო დოვლათის ყიდვა-გაყიდვაზე და სხ. ასეთი ქრთამი უკვე „კანონიერ" ხასიათს ატარებს, მაგრამ არსებითად იგი ქრთამის შინაარსით არის დამძიმებული.

ამიტომ სისტემატიური და სასტიკი ბრძოლა გვმართებს მექრთამეობის წინააღმდეგ.

## თურქული პრესა

სტამბოლის გაზეთ „ვეკთ"-ში დაბეჭდილია შემდეგი სათაურით „დასავლეთით ჩვენი საზღვრებიო".

ლოზანას კონფერენციის მიერ განსახილველად დაწყებული პირველი საკითხი, ჩვენი საზღვრების გამორკვევის ბაასს შეიცავდა. ჩვენი თვალსაზრისი კი ამ მხრით ცხადია და გარკვეული. ევროპაში ჩვენ ახალი მიწა-წყლის და ტერიტორიის დაპყრობას არ ვადგივართ. არავითარი განზრახვა იმპერიალისტური არ გვაქვს. ადრიანაპოლის სადგური და მისი ნაწილის შემადგენელი ყარა აღაჯთან ერთად თავდაცვის მხრით ჩვენთვის აუცილებლად საჭირო 1913 წ. საზღვრების აღდგენის მოთხოვნა ჩვენს ცხადსა და უდავო უფლებებს წარმოადგენს. ომიანობის დროს ძველი მთავრობის სათავეში მყოფმა კაბინეტმა, გერმანეთის გავლენით ეს ტერიტორია ბულგარეთს დაუთმო. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მთავრობას ამ საქციელს ვერ ურიგდებოდა. თუცა „ერთობისა და პროგრესის პარტიის" მთავრობა პროპაგანდას ეწეოდა: „დათმობა არის დროებითი და ომის დამთავრების შემდეგ ჩვენ რუმელიიდან ახალი მიწა-წყალი კვლავ უნდა მოგვეცესო. და ამ საკითხისაც პარლამენტში გაყვანას სცდილობდა, მაგრამ ველარ გაბედა. ასე რომ კაბინეტის პროპაგანდამ საზოგადოებრივი აზრი ვერ დააწყნარა. ომის დამთავრებაზე სამი თვით ადრე, შინაური მღელვარების გამო მთავრობამ, როცა პოლიტიკური ცენზურა მოსპო, საკამათოდ დასმული პირველი საკითხი ყარა აღაჯუ, დიმთოკა და მისი რაიონები იყო. როდესაც ბოლგარეთი და ოსმალეთი, როგორც მოკავშირენი საერთო მტრებს ერთად ებრძოდნენ. ამავე დროს ორივე მხარეს პრესაში ამ საკითხების გარშემო მეტად მწვავე კამათი და მეტად მწარე სიტყვები იყო მოთავსებული.

დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ თურქის ერი, როცა თავის ცხოვრების მინიმალური მოთხოვნილებების პროგრამების „ეროვნული აღთქმის" სახით შემუშავებაში იყო. ადრიანოპოლის სადგურ „დიმთოკას" ვერ დაივიწყებდა თქმა არ უნდა და ეჭვიც არაა, რომ ლოზანაში მყოფი საზავო კონფერენციის ჩვენი წარმომადგენლები „ეროვნულ აღთქმაში" აღნიშნული ამ საფუძლიანი მუხლის მოყვანას ბოლომდე დაიცავენ. ამასთან ერთად ეს საკითხი მუდანიის კონფერენციაზე თუ ცხადათ არა გულის ზრახვით იყო გარკვეული და გადაწყვეტილი.

ლოზანის კონფერენციაში წამოყენებული ეს საკითხი, მხოლოდ დასავლეთი ფრაკიის სანაცვლო მიზნით არის და არა სხვა. მაგრამ ჩვენ კი ვაჭრობის ბუნებაზე არა ვართ. დასავლეთ ფრაკიისთვის ჩვენი ზრუნვა იმაში კი არ გამოიხატება რომ ჩვენ ვაპირობთ მის შემცირებას. სრულიადაც არა. ჩვენ იქაური მკვიდრი უმრავლესობის, ესე იგი, თურქების სვებედის და მათი უფლებათა უზრუნველმყოფელი საშუალებები გვინდა გამოვნახოთ და ამავე დროს მათ მოტანჯეთა და მოჩაგვრედ ცნობილი რომელიმე მმართველობის ჯოჯოხეთური რეჟიმის ქვეშ კვლავ მათი მოქცევა არა გვინდა. დასავლეთი ფრაკიის მცხოვრებლებმა დღემდე სხვა და სხვა ორი ჯოჯოხეთური რეჟიმი განიცადეს, პირველი ბულგარეთის და მეორე კი საბერძნეთისა. ბულგარეთი დასავლეთ ფრაკიაში თურქების შევიწროვების და განადგურების პოლიტიკას ფარულად აწარმოებდა, და საბერძნეთმა კი ეს საჯაროდ დაიწყო. ასეთი მდგომარეობის გაგრძელებას რა თქმა უნდა ვერ მოურიგდებოდით. დასავლეთ ფრაკიაში საბერძნეთის დარჩენა და დატოვება, ბალკანეთის საკითხის [illegible] ასაფეთქებელ მდგომარეობაში დატოვებას და ახალი მაკედონიის შექმნას ნიშნავს და მთელი მსოფლიოს და განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთის ომისა და ურთიერთშორის ჩამოვარდნილი მტრობის გამო, ნანახ ამდენ უბედურებას და განცდილი ვაი ვაგლახის შემდეგ ბალკანეთში სამი მთავრობის საზღვრებში შესართავ სივრცეში, კვლავ სამთაშორის სადაო ადგილის დატოვება, შეუნდობელი შეცდომები იქმნება".

(შემდეგი იქნება)

## მოწოდება

1923 წლის შაბათს, თებერვლის 3-ს, რუსთაველის თეატრში დანიშნულია შალვა დადიანის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.

შალვა დადიანის სახელი საყვარელია ყოველი ქართველისათვის, ვინაიდან მან მიუხედავად მძიმე პირობებისა. ღირსეულად მოიტანა ბოლომდე დროშა საზოგადო მოღვაწეობის.

არ დარჩენილა დარგი ქართული ყოფის, სადაც არ აემაღლებიოს მას თავისი დაწმენდილი და თავაზიანი ხმა. არ ყოფილა საკითხი გადმოსული საქართველოს წიაღიდან, რომლის განათებაში არ ჩარეოდა მისი კეთილშობილი და გამჭრიახი გონება.

მრავალმხრივია მოღვაწეობა მისი გაწოლილი მესამედი საუკუნის სიგრძეზე.

მისი შთაგონებას არა ერთი ხელოვნურად მოხაზული გმირი გამოუყვანია ჩვენი ისტორიის უდაბნოებიდან და გამოუკვეთავს მათი სხეული თლილი სიტყვებით.

მთელი თავისი ენერგია და მაგარი ძარღვი დაუკავშირა მან ქართული კულტურის ამაღლების მოლოდინს უფრო ხელშესახები და საგრძნობია მისი მუშაობა ქართული თეატრის კედლებს შორის.

აქ გაიმართა მისი ტალანტი. აქ გაიშალა მისი შემოქმედებითი ძალა. აქ დაიღვარა ღია იდეების დამტევ გულში დაგუბებული პეთოსი და, ვინ არ იცნობს: შალვა დადიანს ჭეროგორც რეჟისორს, როგორც არტისტს.

ცოტაა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი პროვინცია სადაც არ შენათებიოს შალვა დადიანის არტისტის, რეჟისორის გამჭრიახ თვალებს.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ადგილი საქართველოში სადაც შალვა დადიანს არ მოეწყოს თეატრალურ კულტურის გამაღვივებელი წრე.

მის სიყვარულს ქართული თეატრისადმი არა ერთხელ გადაულახავს საქართველოს საზღვარი.

ბაქოსა და კავკავში გადახვეწილი ქართველები არიან ღირსეულ არტისტის და რეჟისორის დაუღალავ მუშაობის მჭერმეტყველნი მოწმენი.

არტისტის მგრძნობიარე გულში მხოლოდ ერთი იყო ამოჭრილი: სიყვარული საქართველოსი და მისი რაინდი ხალხის.

თეატრი იყო ცხოველი ტრიბუნა, საიდანაც ფოლადის სიმტკიცით ისმოდა უკვდავი სიტყვა ქართული. თეატრი იყო უწმინდესი ადგილი, რომელშიაც სცოცხლობდა საქართველოს უკვდავი სული.

ამიტომ იყო, რომ შალვა დადიანი ამ ტრიბუნისაკენ, წმინდა ადგილისაკენ გაეშურა და იქ დასწვა დიდი ზრახვანი და გამწევი ენერგია.

აიიტომ იყო ასეთი გატაცებით, რომ ეშურებოდა იგი ქართული თეატრის ორგანიზაციებისაკენ ქართველმა მსახიობმა შესაფერისად დააფასა შალვა დადიანის დიდიხნის ლტოლვა და ნიშნად პატივისცემისა მსახიობთა პირველ ყრილობაზე აირჩია იგი სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის პირველ თავმჯდომარედ. მაგრამ რაც აღსანიშნავია უმეტესად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის განვითარებაში—ეს მისი დრამატიული ნაწარმოებია.

შალვა დადიანმა თავისი პიესებით ამოავსო განუზომელი სახლი ქართული დრამატურგიის.

მან შექმნა მრავალი სახე ქართული სულით და სხეულით ამღერებული და ეს სახები დღესაც, და კიდევ დიდხანს შეამკობენ ქართულ სცენას. მის მიერ დაწერილი პორტრეტები კიდევ დიდხანს შერჩებიან ქართული სცენის კედ-

შალვა დადიანი: ბელეტრისტი, არტისტი, რეჟისორი, დრამატურგი. მრავალფეროვანი და მრავალ ხმოვანი. ასეთ ხაზებში მოდიოდა მისი მოღვაწეობა. და დღესაც დაუღალავად განაგრძობს მას.

იმედია ქართული საზოგადოება ღირსეულად დააფასებს შალვა დადიანის დამსახურებას და მიიღებს მონაწილეობას მის იუბილეიში.

P. S. საიუბილეო კომისია სთხოვს ყველა ორგანიზაციებსა და პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა იუბილეიში წინასწარ გვაცნობონ რა სახით მიიღებენ ისინი მონაწილეობას.

მისამართი: განათლების სახალხო კომისარიატი მთავარ სახელოვნო კომიტეტის მდივანი (იგივე საიუბილეო კომისიის) შალვა აფხაიძეს.

მთავარი სახელოვნო კომიტეტი (თავმჯდომარე გრიგოლ რობაქიძე) სრულ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, (თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი).

სრ. საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის საბჭო, (თავმჯდომარის მოადგილე პავლე ინგოროყვა).

სრ. საქართველოს ქართველ „მსახიობთა" კავშირის საბჭო, (თავმჯდომარე ალ იმედაშვილი).

საიუბილეო კომისის წევრნი: ვასო აბაშიძე, საფაროვ აბაშიძისა, ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე, ვალერიან გუნია, კონსტანტინე მარჯანიშვილი.

საიუბილეო კომისიის გამგე ღიასახლისნი ნინო ამირეჯიბი, ანიკო ქავთარაძე.

მამასახლისნი: იასონ ლორთქიფანიძე, კლემენტი თოფურიძე, ისიდორე ვარაზაშვილი, სოლომონ ახვლედიანი.

მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივანი შალვა აფხაიძე,

## ლოზანას კონფერენცია

### შემათანხმებელი კომისია

**ლონდონი, 29 დეკ.** შემდგარია შემათანხმებელი კომისია მოკავშირეთა დელეგაციების და ექსპერტების წარმომადგენლებისაგან, რომელიც მოკავშირეთა ხელშეკრულებას გაუკეთებს რედაქციას. რამდენიმე დღის შემდეგ ხელშეკრულება მისაღებად ან უარსაყოფად წარედგინება ოსმალეთის დელეგიას.

### [illegible]ციის საკითხი

**ლონდონი, 29 დეკ.** დღევანდელ სხდომაზე კაპიტულიაციის საკითხის შესახებ ლორდ კერზონმა და მოკავშირეთა დელეგატებმა გამოსთქვეს ამ საკითხის შესახებ თავიანთი მოსაზრებანი. შემდეგ მათ გრძელი შინაარსიანი სიტყვით პასუხი გასცა ისმეტ-ფაშამ. სხდომა დაიწყო ინგლისის უმაღლესი კომისრის რუმბოლდტის მოხსენებით, რომელიც ამტკიცებდა. რომ ოსმალეთსა და მოკავშირეთა შეუთანხმებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ოსმალეთში არსებულ უფლებრივ მდგომარეობაში, რომლის შეცვლის საჭიროებას ოსმალები უარყოფენ. ქვეკომისიის თავმჯდომარემ გარსონმა განაცხადა, რომ კაპიტულიაციის რეჟიმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უცხოელთა მოქმედებისათვის და გასამართლებისათვის შემობული იქნება გარანტიების ახალი სისტემა. ისმეტ-ფაშა გრძელ სიტყვაში იცავდა ოსმალეთის თვალსაზრისს.

კერზონმა განაცხადა, რომ ისმეტ-ფაშას სიტყვიდან მან ის შთაბეჭდილება გამოიტანა, რომ ოსმალოებს არ სურთ შეთანხმების მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ ისმეტ-ფაშამ რამოდენიმე ხნის წინად კერძო თათბირზე ისმეტ ფაშა ააშკარავებდა მშვიდობიანობის ჩამოგდების სურვილს. დასასრულ კერზონმა ილაპარაკა ოსმალეთის მართლ მსაჯულების ნაკლულოვანობათა შესახებ და განაცხადა, თუ ისმეტ ფაშას სიტყვა ამ საკითხის შესახებ უკანასკნელი სიტყვა მაშინ არ შეიძლება ჩვენ აქედან მოველოდეთ ხელსაყრელ შედეგებს. ამერიკის წარმომადგენელი ჩაილდი შეურთდა მოკავშირეთა თვალსაზრისს ამის შემდეგ ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ მას საბოლოო პასუხის გასაცემად სჭირია დრო.

## უცხოეთი

**ანგორა. 27 დეკ.** ეგვიპტის დელეგაციამ ანგორაში გამოაქვეყნა ეგვიპტის ნაციონალურ აღთქმის ტექსტი. 1.მთელი ნილოსის მხარის განუსაზღვრელი დამოუკიდებლობა. უძველეს ბუნებრივ საზღვრების ფარგალში. 2.სუდანის შესახებ 1899 წ. ხელშეკრულების გაუქმება. 3.ნილოსის მხარის დაუყონებლივ გაწმენდა ინგლისის ჯარებისაგან. 4.ინგლისელთა ყოველგვარ პრივილეგიების გაუქმება ამ მხარეში. 5.უარყოფა ინგლისთან ყოველგვარ მოლაპარაკებისა, მანამ, სანამ ინგლისს ეგვიპტის საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნია.

6.ინგლისის სამხედრო ოკუპაციის დროს ჩადენილ ყველა აქტების გაუქმება. [illegible]სუეცის არხის ნეიტრალიტეტი და მისი დაცვა დამოუკიდებელ ეგვიპტის მიერ. ხალიფატის სარწმუნოებრივ ავტორიტეტის ცნობა. ეგვიპტის დელეგაციის ანგორაში ჩასვლის მიზანია დაამტკიცოს ამ პროგრამის სასიცოცხლო მნიშვნელობა ეგვიპტის მთელი ხალხისათვის განურჩევლად პარტიებისა.

### ირანში.

**ანგორა. 27 დეკ.** არაბეთის გაზეთების ცნობით, ირანის მცხოვრებთა უკმაყოფილება მთავრობით ღებულობს აქტიურ ხასიათს. ზოგიერთ ადგილებში მცხოვრებლებმა უარი სთქვეს გადასახადების შეტანაზე, ინგლისელები აეროპლანიდან

ჟუმბარებს უზენენ ასეთ სოფლებს. მიუხედავად ინგლისელებისა და ემირი ფეისულას ინტრიგანობისა ორივე სექტა (სუნიტები და შიიტები) ერთსულოვნად მოქმედობს და მათ განხეთქილებას არ აქვს ადგილი. ანგორის გაზეთები იტყობინებიან, რომ ემირი ფეისულა დაშინებული მოსულის მხარის ოსმალეთისათვის გადაცემის პროექტით, აძლიერებს საპროვოკაციო მუშაობას. ფეისულამ გაგზავნა დელეგაცია, მეთაურობით (გამოტოვებულია)... და აძლევს შერიგების წინადადებას- ამასთანავე ერთად ფეისულა ავრცელებს ცრუ ხმებს, რომ ინგლის-ირანის ხელშეკრულება შეცვლილი იქნება ირანის სასარგებლოდ.

**მოსკოვი,** 29 დეკ. გერმანიის სოციალ-დემოკრატმა ავგუსტ მიულერმა გერმანიის იურიდიულ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია 1918 წლის ნოემბრის გადატრიალების დროს წინააღმდეგი იყო ჰოჰენცოლერნების ტახტიდან გადაყენების.

სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ კატასტროფის აცილებას. მაგრამ მაშინ, როდესაც ვილჰელმის გადაყენება აუცილებელი შეიქნა, სოციალ-დემოკრატიამ გადასწყვიტა მეთაურობა გაუწიოს ამ მოძრაობას. მიულერის სიტყვით პარტიას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის: მან შესძლო წინააღმდეგობა გაეწია გერმანიის სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიულ კლასიურ სახელმწიფოდ გადაქცევის შესაძლებლობას.

**საფრანგეთის კომუნისტთა შორის**

**მოსკოვი, 29 დეკ.** საფრანგეთის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა პარიზის ბულვარებში მოაწყვეს დემონსტრაციები და მოითხოვეს მარტის განთავისუფლება. პოლიციასთან შეტაკების შემდეგ დაპატიმრებულია 143 კაცი.

**ლოზანას კონფერენციაზე**

**მოხკოვი, 29 დეკ.** ოსმალეთის დელეგაციამ ლოზანაში ლორდ კერზონს ჩააბარა მისი მემორანდუმის პასუხი მოსულის საკითხის შესახებ. პასუხში მოყვანილია ეთნოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრებებით რომელთა ძალით მოსული უნდა დაუბრუნდეს ოსმალეთს.

**პოლონეთი და საფრანგეთი.**

**მოსკოვი.** 29 დეკ. პოლონეთის ახალმა პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ გაუგზავნა მილიერანს დეპეშა, რომელშიაც ხაზს უსვამს თავის განზრახვას ხელი შეუწყოს საფრანგეთთან მეგობრულ ურთიერთობას.

**კონტრრევოლიუცია გერმანიაში.**

**მოსკოვი.** 29 დეკ. ჰამბურგის პოლიციამ აღმოაჩინა სტუდენტების და ყოფილ აფიცრების ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად ქონდა დასახული რესპუბლიკანური წესწყობილების დამხობა.

გერმანიის მრავალ ადგილებში უკანასკნელ ხანებში აღმოაჩინეს იარაღის საიდუმლო საწყობები.

**უმუშევრობა ინგლისში.**

**მოსკოვი.** 29 დეკ. გლაზგოს უმუშევართა დეპუტაციის მიღების დროს ერთმა დელეგატთაგანმა განუცხადა ბონარ-ლოუს რომ მთავრობამ სრული უილაჯობა გამოიჩინა უმუშევრობის საკითხის გადაწყვეტის დროს. მომავალში უმუშევართა ბრძოლა მასიურ ხასიათს მიიღებს.

**უმუშევრობა გერმანიაში**

**მოსკოვი** 29 დეკემბერი. უმუშევართა რიცხვი გერმანიაში გაიზარდა 24.000—42.000-დე.

**სარეპარაციო კომისია**

**მოსკოვი** 29 დეკემბერი. გაზ. „ტაიმსის" ცნობით სარეპარაციო კომისიამ სამი ხმის უმრავლესობით კომისიის წევრის ბრედბიურის ხმის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება რომელშიაც აღნიშნულია გერმანიის მიერ ხეტყის მასალათი მოწოდების განზრახ არ შესრულება.

**ფაშისტები ჩეხო-სლოვაკიაში**

**მოსკოვი** 29 დეკემბერი. ჩეხიის მთავრობამ მიიღო ცნობები ფაშისტების შესახებ, რომელნიც ამზადებენ სახელმწიფოს გადატრიალებას. ნაციონალ-ლიბერალების ლიდერმა კრამარჟმა მიმართა ყველა ნაციონალისტურ ორგანიზაციებს დეკლარაციით ერის ჯანსაღ ელემენტების გაერთიანების შესახებ.

**მეფის გვარდია იტალიაში**

**მოსკოვი.** 29 დეკემბერი. იტალიის მთავრობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა გააუქმოს მეფის გვარდია.

**გაფიცვები პოლონეთში**

**ვარშავა** გაზ. „რეჩ პოსპოლიტას" ცნობით ლოძში გაზის ქარხნებში მუშა მოსამსახურეთათვის ხელფასის 4 პროცენტით გადიდების შემდეგ გაფიცვები შესწყდა. იქვე გაიფიცნენ მეეტლენი, რომელნიც მოითხოვენ ნიხრის 200 პროცენტით გადიდებას. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უარი უთხრა მათ ამ, მოთხოვნილებაზე იმ საბუთით, რომ მომქმედი ნიხრი 3 ჯერ მეტია საზღვარგარეთ მიღებულ ნიხრზე.

# საბჭოთა მეათე ყრილობა

**სამანდატო კომისიის მოხსენება**

სამანდატო კომისიამ წარმოადგინა თავისი მოხსენება, საიდანაც სჩანს, რომ ყრილობას გადამწყვეტი ხმით ესწრება 1217 დელეგატი და სათათბირო ხმით 510 დელეგატი დელეგატებში 80 ქალია.

**ლატვიის წარმომადგენლის განცხადება.**

რუსეთში ჩამოსულ 97 ლიტვიის კომუნისტების სახელით კრისტელი აკეთებს შემდეგ განცხადებას: „ჩვენ წარმოვადგენთ მცირე ჯგუფს, რომელმაც შესძლო თავი გადაერჩინა ლატვიის ციხეებისაგან, სადაც მოთავსებულია აუარებელი მუშა და გლეხი. თეთრი ლატვია შეიქმნა ყველაზე უსასტიკეს კონტრ-რევოლიუციის სიმაგრედ. იგი სპობს კომუნისტურ პარტიის საუკეთესო წევრებს. ჩვენ მადლობას ვუხდით საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მძლავრი ხელით გაგვანთავისუფლა ლატვიის ციხეებიდან. ჩვენ მზად ვართ ჩვენი ძალ-ღონე შევსწიროთ საბჭოთა რუსეთს.

**არჩევნები.** არჩეულ იქმნა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 207 წევრის და 116 კანდიდატის შემადგენლობით.

**ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა.**

ამხ. კალინინი საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს რომ მეათე ყრილობამ გადასწყვიტა რა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან სახელმწიფოში გაერთიანების საკითხი, შეასრულა თავისი ისტორიული როლი. „ჩვენთვის ძვირფასია, სთქვა ამხ. კალინინმა, წითელი დროშა ხუთი წმინდა ასოებით რ. ს. ფ. ს. რ. რომელიც მოპოვებულია მუშების და გლეხების სისხლით უმაგალითო ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ ვხრით წითელ დროშას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინაშე. ეს დროშა ხელთ აქვს ამხ. ლენინს წინ, მაღლა ასწიეთ თქვენი დროშა, რათა მთელი ქვეყნის ჩაგრულთ და დამონავებულთ შეეძლოს მისი დანახვა".

**რეზოლიუციები**

**მოსკოვი** 24 დეკემბ. 27 დეკემბერს საღამოს სხდომაზე ამხ. სტალინის წინადადებით, საბჭოთა ყრილობამ ერთხმად უკამათოდ მიიღო რეზოლიუცია სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

წაკითხულ და ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის, მესიაცევის და სოკოლნიკოვის მოხსენებების გამო.

რეზოლიუციაში ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გამო ნათქვამია: „განათლების ფრონტზე უკან დახევა შეჩერებულ უნდა იქნეს. ყველა აღმასკომებმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები სახალხო განათლებისათვის საჭირო მაქსიმალური დახმარების გასაწევად. სახალხო კომისართა საბჭოს ევალება გამოიმუშაოს სათანადო საშუალება საჭირო სახელმწიფოებრივ ბიუჯეტში შრომის სახალხო კომისარიატთან წილის გადიდებისათვის". რეზოლიუცია ხაზს უსვამს განათლების მუშაკთა მდგომარეობის მატერიალურად გაუმჯობესების აუცილებლობას.

რეზოლიუცია ამხ. ბოგდანოვის მოხსენების გამო აუცილებლად სთვლის სათანადო ზომების მიღებას სახელმწიფოებრივ მრეწველობის განვითარებისათვის და მისი რესურსების უზრუნველყოფისათვის. საჭიროა ფართე ზომების მიღება ბამბის, სელის და თამბაქოს კულტურის ასაღორძინებლად და საქონლის მოშენების განვითარებისათვის. საჭიროა ზომების მიღება ჩვენი ტრანსპორტის გამოცოცხლების სფეროში.

რეზოლიუცია, ამხ. მესიაცევის მოხსენების გამო მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებს მიწის კოდექსის ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარებისაკენ. აუცილებლად სთვლის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისათვის დახმარების გაწევას, გლეხებისათვის ფართე დახმარებას მუშა საქონლის, სათესლე მასალის და ინვენტარის მუშების საქმეში, სახელმწიფო და კოოპერატიული კრედიტების ორგანიზაციის გზით, მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს ევალება მიიღოს აუცილებელი ზომები საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე მიიღო მთელი რიგი ღონისძიებათა დშეულ გუბერნიებში სასოფლო მეურნეობის მთელი სისტემის შესაცვლელად.

რეზოლიუციაში ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენების გამო, აღნიშნულია, რომ მთავრობის ფინანსიური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა რესურსების წესიერი და მიზანშეწონილი განაწილება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტრანსპორტის შორის. ყრილობა იწონებს ფინანსთა სახ. კომისარიატის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ბიუჯეტის მაქსიმალურ წონასწორობისაკენ. ბიუჯეტში უნდა შევიდეს მხოლოდ ისეთი ხარჯები, რომელთა დაფარვა სხვა წესით შეუძლებელია. ადგილობრივი ხარჯები უნდა დაფარულ იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე. რეზოლიუცია ხაზს უსვამს პირდაპირი გადასახადების გაძლიერების აუცილებლობას ქონების და შემოსავლის კვალობითი გადასახადების სახით მიმდინარე წლის მორიგი ამოცანაა მსხვილი მრეწველობის უმთავრესი დარგების ფინანსიურად უზრუნველყოფა, სასოფლო მეურნეობის კრედიტის ორგანიზაცია, კოოპერაციისათვის დახმარების გაწევა. საჭიროა მივაღწიოთ სამუშაო ხელფასის რეალურ დონემდე.

**ყრილობის მიმართვა მსოფლიოს ერებისადმი**

იმავე სხდომაზე ამხ. ენუქიძე აქვეყნებს ყრილობის მიმართვას მსოფლიოს ერებისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „მეათე ყრილობა—მუშურ-გლეხური რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მრავალ მილიონ მუშებისა და გლეხების სახელით აცხადებს, რომ მას სურს მშვიდობიანობის დამყარება. ყველა, ვისაც სურს მშვიდობიანობა, დეე შემოუერთონ თავისი ხმა ჩვენს მოწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის ყოველგვარმა ცდამ მიმართული განიარაღებისაკენ უნაყოფოდ ჩაიარა, მან მაინც შეამცირა მნიშვნელოვანად თავისი არმია და ფიქრობს დაიყვანოს ის 600,000-დე კაცამდე და ამით დაამტკიცოს თავის ერთგულება მშვიდობიანობისადმი.

# ინტერვიუ ამხანაგ რაკოვსკისთან

**პარიზი.** გაზეთ „ტანში" დაბეჭდილია შემდეგი ინტერვიუ ამხ. რაკოვსკისთან: „ნუ თუ მე ტყუილი გითხარით თქვენ გენუაში, სთქვა ამხ. რაკოვსკიმ, როდესაც განვაცხადე, რომ რუსეთი შესძლებს აღორძინებას თავის საკუთარ საშუალებებით, უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად, მაგრამ რასაკვირველია, ეს აღორძინება ნელი ტემპით მოხდება, ეხლა, დაბეჯითებით და ფაქტებით ხელში, შემიძლია დავამტკიცო ის, რაც მე ვსთქვი გენუაში".

რუსეთის საერთო ეკონომიურ მდგომარეობის დახასიათების შემდეგ რაკოვსკი ეხება უკრაინის მდგომარეობას. შაქრის წარმოებას, სთქვა რაკოვსკიმ, უჭირავს, როგორც იცით, პირველი ადგილი ჩვენს სამრეწველო ორგანიზმში. მაშინ, როდესაც 1921 წელს ჭარხლის წარმოება აღწევდა 3,063,000 ფუთს (რომელთაგან მხოლოდ 457,000 ფუთს არის დამუშავებული უკრაინის გარეშე) 1922 წელს ის აღწევს 13,147,000 ფუთს (რომელთაგან უკრაინის გარეშე დამუშავებულია 2,532,000 ფუთი) ეს მრეწველობის ნაყოფიერება უდრის ომამდე არსებულ დამუშავების ერთ მეოთხედს რათა მივაღწიოთ ამ შედეგებს, ჩვენ დავთესეთ უკრაინაში 1921 წ. 77550 დეს. 1922 წელს—128,000 დეს. ხოლო 1923 წლისათვის ჩვენ განზრახული გვაქვს 195,000 დესიატინის დათესვა. ამ ჟამად მთელი შაქრის მრეწველობა ხელში უჭირავს სახელმწიფო ტრესტს, რომელსაც მოეპოვება 235 ფაბრიკა. უკრაინის 195 ქარხნიდან ამ ჟამად მუშაობს 75 ქარხანა, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს რომ მომავალ წლისათვის ავამუშავებთ კიდევ 29 ქარხანას.

უმთავრეს დაბრკოლებას შაქრის მრეწველობის განვითარებისათვის წარმოადგენს საბრუნავი კაპიტალის უქონლობა. შაქრის ტრესტის დაარსებისას, შედგენილი იყო ხარჯთ-აღრიცხვა 29 მილიონ მან. ოქროთი, მაგრამ როდესაც ტრესტმა დაიწყო მუშაობა, შაქრის მარაგის რეალიზაციამ მოგვცა საჭირო საბრუნავ კაპიტალის მხოლოდ 35 პროც. ამიტომ ტრესტი იძულებული გახდა მიემართა სესხისათვის.

გლეხებმა დახმარება გაგვიწიეს დაქვთანხმდენ ჭარხლის უკრედიტოდ დათესვაზე. სახელმწიფო ბანკმა თავის მხრივ გაიღო კრედიტი 25 მილიონ ქაღ. მანეთის რაოდენობით, მაგრამ მიუხედავად ამისა ტრესტმა მიიღო საჭირო კაპიტალის მხოლოდ ნახევარი.

1922 წლის განმავლობაში შაქრის მრეწველობას გადაეღობა ახალი დაბრკოლება—გადასახადი შაქარზე, რომელიც აღწევდა შაქრის ბაზრის ფასის ნახევარს. ამ გადასახადმა გამოიწვია ფასის აწევა შაქარზე და შეამცირა მისი მოხმარება. ამჟამად ჩვენს შაქრის პროდუქციას შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ჩვენს შინაურ ბაზარზე, მაგრამ მომავალში ის ჰპოებს ახალ ბაზრებს აღმოსავლეთის მხარეებში, ტრესტმა უკვე მოახდინა რამოდენიმე ოპერაცია სპარსეთში, უცხოეთის კაპიტალს შეუძლია დაინტერესდეს ჩვენი შაქრის მრეწველობით ან სახელმწიფო ტრესტში მონაწილეობისა, ან კონცესიების ფორმებში, სახელმწიფოს მონაწილეობის მიღებით, ან მიუღებლად. მე პირადათ ვფიქრობ, რომ კაპიტალისტებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, თუ მთავრობა მონაწილეობას მიიღებს კონცესიებში, ვინაიდან იმ სახელმწიფოში, რომელშიაც მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი მთავრობის ხელშია, სადაც ჭარხლის მისაღებად საქმე უნდა ჰქონდეთ გლეხებთან მთავრობის დახმარება წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს მრეწველობის განვითარებისა და მრეწველობაში დაბრუნებულ მოგების ზრდისათვის.

ნახშირის მრეწველობა ამ ჟამად დაცემის პერიოდში იმყოფება თუმცა 1921 წლის პირველ 7 თვეში მან 166 მილიონ ფუთს მიაღწია და იმავე პერიოდის განმავლობაში 1922 წელს მიაღწია 340 მილიონს, (აქედან 269 მილ. ნახშირი და 71 მილ. ფუთს ანტრაციტი), მაგრამ მიმდინარე წლის პირველი ტრიმესტრის განმავლობაში ჩვენ შევსძელით დასახული მიზნის მხოლოდ 75 პროცენტის განხორციელება.

მეტალურგიული მრეწველობა უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეხურა მრავალი ქარხანა და მიმდინარე წლის დასაწყისში 30.000 მელითონე მუშამ დაჰკარგა სამუშაო და გადავიდა დამხლევვი კასების ხარჯზე. ინდუსტრიის ეს დარგი შეიძლება გამაგრდეს მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით.

უკრაინის სასოფლო მეურნეობა წარმოადგენს ფართე ასპარეზს უცხოეთის კაპიტალისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდად დაზიანდა სიმშილისაგან. თუმცა დათესილი ადგილების სივრცე 1920 და 1921 წ.წ. შეადგენდა 16 მილიონ დესიატინას, რაც შეადგენს მშვიდობიან დროის სათესი სივრცის 55 პროცენტს, წარსული წლის მოსავალმა და მიახწია მხოლოდ 400—450 მილ. ფუთამდე და ეს ციფრი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს მხარის მოთხოვნილებას. სიმშილმა დიდი მსხვერპლი გამოიწვია. მან. გლეხების ფიზიკური არსებობა იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ სათესი სივრცე შემცირდა 14 მილ. დესიატინამდე. საბედნიეროდ მოსავალმა მიახწია 800 მილ. ფუთამდე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალ წლისათვის მოსავალი კიდევ უკეთესი იქნება და ჩვენ ნამდვილად შევსძლებთ გლეხებისათვის უფრო ფართე დახმარების გაწევას. წარსულ წელს უკრაინის მთავრობამ შესძლო გლეხებისათვის მხოლოდ 300.000 ფუთი საზამთრო თესლის მიცემა, მიმდინარე წელს კი მას გადადებული აქვს ამ საქმისათვის 4.700,000 ფუთი.

მიუხედავად ყველა ამ ზომებისა, სასოფლო მეურნეობას სჭირდება დიდი კაპიტალი, რომელიც შეიძლება შეგროვებულ იქნეს თან და თანობით, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ დაგვეხმარება უცხოეთის კაპიტალი. უკრაინა არის ისეთი ქვეყანა, სადაც მსხვილ-სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიას გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ყოფილ რუსეთის იმპერიის პროვინციებს შორის, უკრაინას თითქმის ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიწა აქვს. სათესი მიწის რაოდენობა უდრის 29 მილ. დესიატინას, რომლიდგანაც მიმდინარე წელს მხოლოდ ნახევარი დამუშავდა.

# ახალი ამბები

— **მატარებელი მოწაფეთათვის.** საქ. სახალო განათლების კომისარიატი ამით აცნობებს ყველა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს, რომ ა. კავ. რკინის გზის სამმართველოსთან შეთანხმებით 30—31 დეკემბერს ა. წ. და 1-ლ იანვარს 1923 წ. გავა შემდეგი მატარებლები.

**ბათომისკენ**—საღამოს 5 საათზე საფოსტო მატარებელზე № 4 თითო ვაგონი.

**კახეთში.** 12 საათზე სატვირთო-პასაჟირის მატარებელზე № 22 ორი ვაგონი.

ღამის 10 საათზე № 3 მატარებელზე ორი ვაგონი.

განსაკუთრებულ განკარგულებით მოწაფეები სასწავლებლებიდან მიღებულ შეღავათიან სამგზავრო მოწმობის წარდგენისთანავე რიგს გარეშე ცალკე სპეციალურათ მოწყობილ მოწაფეთა კასიდან მიიღებენ სამგზავრო ბილეთებს.

— **ლექციების შეწყვეტა.** დღეს შეწყდება ყველა ფაკულტეტების ლექციები სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტებს ეძლევათ შეღავათიანი ბილეთები პროვინციაში გასამგზავრებლად.

— **ბესიკის საღამო.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ლიტერატურული წრე, ამ მოკლე ხანში გამართავს ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) საღამოს. განხილული იქნება ბესიკის პოეზიის ყველა მოტივები დაწვრილებით.

— **კვირას, დეკემბრის 31,** ყველა საკამისარიატოების სამისამართო მაგიდებში იქნება მუშაობა სამოქალაქო გადასახადის მისაღებათ დილის 9-დან დღის 3 საათამდე.

— **სადღესასწაულო საჩუქრები ბავშვებს.** სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადებულ იქმნა 100 მილ. მან. სადღესასწაულო საჩუქრების შესაძენად.

— **შინ. საქ. კომ. ცირკულიარი.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა ცირკულიარი დაუგზავნა ყველა ქალაქის და მაზრების აღმასკომებს სახ. კომ. საბჭოს № 11 დეკრეტის მკაცრად გასატარებლად.

— **შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ფულათ შეცვლა ტფილისის მაზრაში.** შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ფულად შეცვლით მაზრაში შეიკრიბა 2 მილიარდ მანეთამდე, რაც შეადგენს შენაკვეთის 100 პროც. შემოსული ფულის ნაწილი მოხმარდება გზების და ხიდების შეკეთებას.

— **ქუჩის ბავშვთა დასახმარებლად.** სახალხო სასურსათო კომისარიატის თანამშრომლებმა გადასწყვიტეს, ერთი საღამო გამართონ ქუჩის ბავშვთა სასარგებლოდ. კომისარიატის ცენტრის ადგილკომმა უკვე შეადგინა საღამოს პროგრამა და მისაბამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია მცოდნე პირები. საღამო გაიმართება შაბათს, დეკემბრის 30-ს, პროფკავშირთა საბჭოს დარბაზში. საღამო დაიწყება საღამოს 7 ნახ საათზე.

**შეცდომის გასწორება**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნუმერში წერილში „მხატვართა სეანსები" შეპარულია შემდეგი კორექტურული შეცდომა: „დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა ფუტურისტმა პელო ნოზაძემ". უნდა იყოს: **პოლ ნოზაძემ.**

# ქალ. ტფილისის მოსახლეობა

**(1922 წ. 30 ნოემბრის მცხოვრებთა აღწერის წინასწარ ცნობების მიხედვით)**

II

პირველ მოხსენებაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ტფილისის ორივე სქესის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 233,601 კაცს, ჯარის ნაწილების გამოკლებით. დროებით ქალაქიდან გასული აღმოჩნდა 2457 კაცი სულ ტფილისის ორივე სქესის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 236,058 კაცს. 1917 წ. აღწერის მიხედვით ტფილისის მცხოვრებთა და დროებით ტფილისიდან გასულთ ორივე სქესის რაოდენობა უდრიდა—231,141+30,724/=261.865 კაცს.

ამ რიგად ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა 1917 წელთან შედარებით თითქმის შემცირდა 25,807 კაცით, ან 9,93როცენტით.

მაგრამ თითქმის შეუძლებელია დავემყაროთ 1917 წ. აღწერის ცნობებს, თუ ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ მცხოვრებთა ნორმალური ზრდა და ნორმალური მდგომარეობა. აღწერა უნდა სწარმოებდეს ტიპიურ და ნორმალურ მდგომარეობის დროს და არა იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომლებიც შექმნილია ომით, როდესაც მცხოვრებთა ეროვნული დანაწილება, ჰასაკური შემადგენლობა და შეფარდება ძირითად მცხოვრებთა და დროებით ჩამოსულ პირთა შორის და საერთო მცხოვრებთა რაოდენობა არ შეეფერება ქალაქისათვის ჩვეულებრივ ნორმას.

ამისათვის ცნობები 1917 წ. აღწერას, რომელიც წარმოებული იქმნა განსაკუთრებით სასურსათო მიზნით, გამოყენება მხოლოდ მცხოვრებთა რიცხვობრივობის და დანაწილების დასახასიათებლად, ისიც ძალიან მოკლე პერიოდისათვის, რადგანაც ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის და შემადგენლობის სტრუქტურაში ომის გათავების და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის შემდეგ აუცილებლად უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებანი.

გარდა ამისა 1917 წ- აღწერის ცნობების შეფასების დროს უნდა მიღებულ იქმნას მხედველობაში აგრეთვე აღწერის მიზანიც. 1917 წ. აღწერა წარმოებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა განსაკუთრებით სასურსათო მიზ-ეზით. სასურსათო ბარათების წარმოების პერიოდში ძნელი იყო მცხოვრებთა ნამდვილ რაოდენობის აღრიცხვა. ამისათვის 1917 წ. ჩვენ ვერ მივიღებთ როგორც წელს, რომელიც გამოხატავს მცხოვრებთა ტიპიურ ნორმალურ მდგომარეობას.

მცხოვრებთა ზრდის გამოსაკვლევად ჩვენ გვაქვს მხოლოდ ორი ერთდღიანი გამოკვლევა, მოხდენილი 1876 წ. 25 მარტს და 1897 წ. 28 იანვარს.

1876 წ. აღწერის ტფილისში აღრიცხული იყო 91668 ორთავე სქესის მცხოვრები, ხოლო 1897 წ. აღწერით 146 164 (ჯარის ნაწილების გამოკლებით).

წლიური ზრდის % გამოსარკვევად ჩვენ უნდა მივმართოთ რთულ %% ფორმულას,

$A = a(1+r)^t$

მცხოვრებთა ზრდა პროც.-ბში 1876-1897 დროს განმავლობაში გამოიხატება შემდეგში:

$A = 146\ 164$

$a = 91\ 668$

$t = 21$ წ.

ამრიგად $146164 = 91668\ (1+r)^2$ ან

$$\frac{\lg 146164 - \lg 91668}{21} = \lg(1+r)$$

$$\frac{5,16465 - 4,96223}{21} = \lg(1+r)$$

$\lg(1+r) = 0,00964$

$(1+r) = 1,0024$

$r = 0,024$ რაიც შეადგენს ერთ მეასედს, ისე რომ მცხოვრებთა წლიური ზრდა 1876-1897 პერიოდის განმავლობაში გამოიხატება 2,24%-ში.

მცხოვრებთა ზრდა პროც.-ში 1897-1922 წ. განმავლობაში გამოიხატება შემდეგში:

$A = 263601$

$a = 146164$

$t = 25\ ^5/_6$

ამ რიგად, $233601 = 146164\ (1+r)^{\frac{163}{6}}$

აქედან

$$\frac{(\lg 233601 - \lg 146164).6}{155} = \lg(1+r)$$

$\lg(1+r) = 0,00788$ აქედან $1+r = 1,0183$. $r = 0,0183$ რაიც შეადგენს ერთ მესამედ ნაწილს. მცხოვრებთა წლიური ზრდა 1897—1922 პერიოდში შეადგენს 1,83 პრ.-ს. აქედან ჩვენ ვხედავთ. რომ მცხოვრებთა წლიური ზრდა 1876—1897 განმავლობაში უდრიდა 2,4 პრ. წელიწადში. 1876—1922 წ. განმავლობაში კი 1,83 პრ.-ს. რომ შევადაროთ ტფილისის მცხოვრებთა ზრდის ცნობები სხვა ქალაქების ასეთივე ცნობებს, მშვიდობიან ხანაში, დავინახავთ, რომ ტფილისი იზრდებოდა ნორმალურად. მაგალითად: მოსკოვში მცხოვრებთა წლიური ზრდა უდრიდა 2,54 პრ.-ს. პეტროგრადში 2,20 პრ.-ს:

მცხოვრებთა ნორმალურ ზრდის გამოკვლევა უკანასკნელ აღწერის ცნობების მიხედვით გვიმტკიცებს 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ცნობების სრულს სისწორეს.

ის აზრი, თითქოს ტფილისში მცხოვრებთა რაოდენობა უდრიდეს 400.000 500,000 კაცს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. პირველ მოხსენებაში ჩვენ უკვე განვმარტეთ, თუ რის შედეგია ასეთი შემცდარი წარმოდგენა ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობის არა ჩვეულებრივ ზრდაზე.

ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობაში დიდი გადაჯგუფება მოხდა. ერთი მხრით მცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა ცენტრში, განაპირა უბნებში კი საგრძნობლად შემცირდა, მეორე მხრით საბჭოთა და საზოგადო დაწესებულებების და ორგანიზაციების დიდმა კონცენტრაციამ ცენტრში გამოიწვია საცხოვრებელ სივრცის დიდი შემცირება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ამ გარემოებამ ცენტრში დიდი შეჯგუფება გამოიწვია და სწორედ ამით აიხსნება ის აზრი, თითქოს მცხოვრებთა რაოდენობამ იმატა 100-150 პროც.-ით.

ტფილისის განაპირა უბნების მცხოვრებთა რაოდენობა, რომ გაზრდილიყო ისე, როგორც ცენტრის, მაშინ, რასაკვირველია, ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა 300,000 კაცამდე მიაღწევდა.

ტფილისის მცხოვრებთა სქესობრივი შემადგენლობა უკანასკნელ აღწერის მიხედვით შემდეგია: მამაკაცები 114,382, ქალები 121,676 1000 კაცზე ტფილისში მოდის 1064 ქალი.

წინად წარმოებულ აღწერის მიხედვით განწყობილება ორივე სქესის შორის შემდეგი იყო:

| აღწერის წლები | 1000 კაცზე მოდის |
|---|---|
| 1876 | 704 |
| 1897 | 787 |
| 1917 | 988 |
| 1922 | 1064 |

ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ რომ ქალების რაოდენობა თანდათანობით უსწორდება მამაკაცების რაოდენობას, მიმდინარე წელს კი სჭარბობს, რაიც აიხსნება დედრობითი სქესის უფრო მომატებულ ზრდით.

დედრობითი სქესის ჭარბობა, როგორც შედეგი იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების, შემჩნეულია სხვა ქალაქებშიაც, მაგალითად: პეტროგრადში 1900 წ.—1000 მამაკაცზე მოდიოდა 823 ქალი. 1910 წ. 911 ქალი, 1920 წ. 1394 ქალი, მოსკოვში 1000 კაცზე მოდიოდა: 1871 წ. 700 ქალი, 1882 წ.—742, 1897 წ.—755 ქალი 1902 წ. 767 ქ. 1907 წ. 803 ქ. 1920 წ.—1060 ქალი.

დედრობითი სქესის უმეტესი ზრდა და ჭარბობა ქალაქში, გარდა ზემომოყვანილ მოსაზრებათა, აიხსნება აგრეთვე ქალის შრომის გამოყენებით ვაჭრობა მრეწველობაში, რის გამოც შემჩნეულია ქალაქებში მათი ჭარბობა მამაკაცებზე. ეს მოვლენა ეხლანდელ პირობებში სავსებით ასახსნელად უნდა ჩაითვალოს.

### ტფილისის მცხოვრებნი რაიონების მიხედვით;

ტფილისის მცხოვრებნი რაიონების მიხედვით ნაწილდებიან შემდეგნაირად:

| რაიონი | აღწერის დღეს სახეზე იყო | | | დროებით წასულნი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ვაჟები | ქალები | ორივე სქ. | ვაჟები | ქალები | ორივე სქ. |
| 1 | 10978 | 12772 | 23750 | 164 | 91 | 255 |
| 2 | 9004 | 10302 | 19306 | 74 | 47 | 121 |
| 3 | 8009 | 9122 | 17131 | 193 | 96 | 289 |
| 4 | 8538 | 9392 | 17930 | 157 | 91 | 248 |
| 5 | 7777 | 6666 | 14443 | 125 | 18 | 143 |
| 6 | 5094 | 5277 | 10371 | 9 | 1 | 10 |
| 7 | 10941 | 10800 | 21747 | 96 | 59 | 155 |
| 8 | 8866 | 9254 | 18120 | 27 | 22 | 49 |
| 9 | 13680 | 15338 | 29018 | 288 | 175 | 463 |
| 10 | 13401 | 14865 | 28266 | 179 | 123 | 302 |
| 11 | 9884 | 10045 | 19929 | 149 | 128 | 277 |
| 12 | 6649 | 6941 | 13590 | 94 | 51 | 145 |
| სულ | 112827 | 120774 | 233601 | 1555 | 902 | 2457 |

რაიონების მიხედვით მამაკაცები სჭარბობენ მე-5 და ნაწილობრივ მე-7 რაიონში, სხვა რაიონებში სჭარბობენ ქალები.

### მოსახლეობა და ტერიტორია

1917—1922 წ.წ. აღწერების ცნობების მიხედვით ტფილისში 1 დესიატინაზე მოდიოდა, აღწერის დღეს სახეზე მყოფ, შემდეგი მცხოვრებთა რაოდენობა:

| რაიონები | ტერიტორია დესიატნ. | მცხოვრებთა დაოდენობა 1 დესიატინაზე | |
|---|---|---|---|
| | | 1917 წ. | 1922 წ. |
| 1 | 705 | 32 | 34 |
| 2 | 108 | 169 | 179 |
| 3 | 152 | 81 | 113 |
| 4 | 47 | 305 | 381 |
| 5 | 430 | 42 | 34 |
| 6 | 567 | 27 | 18 |
| 7 | 205 | 113 | 106 |
| 8 | 207 | 101 | 88 |
| 9 | 291 | 87 | 99 |
| 10 | 143 | 152 | 197 |
| 12 | 226 | 105 | 88 |
| 13 | 201 | 75 | 67 |
| სულ | 3282 | 70 | 70 |

საერთოდ ტფილისში ერთ დესიატინაზე მოდის, როგორც 1917 წ. ისე 1922 წელში 70 კაცი, ეს მაშინ, როდესაც მერყეობის ამპლიტუდა აღნიშნულ რაიონებში მეტად საგრძნობია: 1917 წელში—32 და 305, 1922 წ.—18—381.

ტერიტორიის მიხედვით 1917 წ. შედარებით ძალიან შემჭიდროვდა მცხოვრებნი 2, 3, 4, 9 და 10 რაიონებში, დანარჩენ რაიონებში მცხოვრებთა რაოდენობამ იკლო.

საერთოდ ტფილისში ერთ დესიატინაზე მოდის, როგორც 1917 წ. ისე 1922 წელში 70 კაცი, ეს მაშინ, როდესაც მერყეობის ამპლიტუდა აღნიშნულ რაიონებში მეტად საგრძნობია: 1917 წელში—32 და 305, 1922 წ.—1ც-381.

ტერიტორიის მიხედვით 1917 წ. შედარებით ძალიან შემჭიდროვდა მცხოვრებნი 2,3,4,9, და 10 რაიონებში დანარჩენ რაიონებში მცხოვრებთა რაოდენობამ იკლო.

### მ ც ხ ო ვ რ ე ბ ნ ი და ბ ი ნ ე ბ ი.

| რაიონი | საცხოვრებელ. ბინები | მუშა-მოსამსახურეებს უჭირავთ | |
|---|---|---|---|
| | | ბინების აბსოლ. რაოდენობა | %% |
| 1 | 4629 | 2188 | 473 |
| 2 | 3257 | 1691 | 519 |
| 3 | 2708 | 1552 | 573 |
| 4 | 3370 | 974 | 289 |
| 5 | 2629 | 994 | 378 |
| 6 | 2147 | 962 | 448 |
| 7 | 4379 | 1419 | 324 |
| 8 | 4564 | 1814 | 398 |
| 9 | 5236 | 2738 | 523 |
| 10 | 5471 | 3548 | 648 |
| 11 | 4697 | 3526 | 750 |
| 12 | 3037 | 2232 | 734 |
| ქალაქ | 46124 | 23638 | 512 |

ამ რიგად მთელ ქალაქში 51,2 პროც. საცხოვრებელი ბინებისა დაკავებულია მუშა მოსამსახურეების მიერ, მხოლოდ მე-5, 7 და 8 რაიონებში მათ უჭერიათ ბინების საერთო რაოდენობის 50 პროც. ნაკლები, დანარჩენ რაიონებში მუშა-მოსამსახურეებს უკავიათ საერთო რაოდენობის 50 პროცენტამდე და მეტი.

მთელ ქალაქში არა საცხოვრებელი ბინები აღნუსხულია 2049, რაც შეადგენს 4, 2 პროცენტს ბინების საერთო რაოდენობისა.

რაიონების მიხედვით არა საცხოვრებელი ბინები განაწილებულია შემდეგ ნაირად:

| | | |
|---|---|---|
| 1 | რაიონში | 24 |
| 2 | „ | 196 |
| 3 | „ | 181 |
| 4 | „ | 82 |
| 5 | „ | 249 |
| 6 | „ | 31 |
| 7 | „ | 271 |
| 8 | „ | 190 |
| 9 | „ | 281 |
| 10 | „ | 172 |
| 11 | „ | 317 |
| 12 | „ | 55 |

თეატრებს, კლუბებს, მუზეუმებს, სამკითხველოებს და საზოგადო დანიშნულების სხვა დაწესებულებებს უჭერიათ შენობების შემდეგი რაოდენობა:

| რაიონები | | შენობების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | რაიონში | 14 |
| 2 | „ | 26 |
| 3 | „ | 26 |
| 4 | „ | 10 |
| 5 | „ | 16 |
| 6 | „ | 1 |
| 7 | „ | 14 |
| 8 | „ | 6 |
| 9 | „ | 20 |
| 10 | „ | 36 |
| 11 | „ | 2 |
| 12 | „ | 11 |

ს უ ლ 178

საცხოვრებელ ბინების რაოდენობა 1922 წელში.

| | | |
|---|---|---|
| 1 | რაიონში | 11627 |
| 2 | „ | 9747 |
| 3 | „ | 8505 |
| 4 | „ | 7392 |
| 5 | „ | 5061 |
| 6 | „ | 3901 |
| 7 | „ | 7545 |
| 8 | „ | 7033 |
| 9 | „ | 12935 |
| 10 | „ | 13196 |
| 11 | „ | 7123 |
| 12 | „ | 5791 |

ქალაქში 89886

ერთ ოთახში ტფილისში მყოფ მცხოვრებთ მოდის 1922 წ.

| | | |
|---|---|---|
| 1 | რაიონში | 2,0 სული |
| 2 | „ | 1,9 |
| 3 | „ | 2,0 |
| 4 | „ | 2,4 |
| 5 | „ | 2,8 |
| 6 | „ | 2,6 |
| 7 | „ | 2,9 |
| 8 | „ | 2,6 |
| 9 | „ | 2,2 |
| 10 | „ | 2,1 |
| 11 | „ | 2,8 |
| 12 | „ | 2,3 |

ქალაქში 2,6

1917 წელში აღნუსხული იქმნა 103 301 ოთახი, ერთ ოთახზე 1917 წელს მოდიოდა 2,2 მცხოვრები, მაგრამ რომ მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ოთახების აღნიშნულ რიცხვში შედის დაწესებულებები, რის გამოყოფის საშუალება ჩვენ არა გვაქვს, მაშინ ერთ ოთახზე მცხოვრებთა რიცხვი იმატებს დაახლოვებით 2-0,3 პროცენტით.

თუ 1917 წელში ერთ ოთახზე საშუალოდ მოდიოდა დაახლოებით 2,5 მცხოვრები მიმდინარე წელს ერთ ოთახზე მოდის 2,6 მცხოვრები.

ამ რიგად წელს ჩვენ ვხედავთ საცხოვრებელ ბინების შემჭიდროებას შედარებით 1917 წელთან.

საბინაო განყოფილება ტფილისში ფართო კატასტროფიულია, ეს რიცხვი 2,6 მცხოვ. ერთ ოთახზე გვიმტკიცებს, რომ ტფილისში მცხოვრებთა შემდეგი შემჭიდროება შეუძლებელია.

1922 წ. ერთ ბინაზე მოდის ოთახები

| | | |
|---|---|---|
| 1 | რაიონში | [illegible] |
| 2 | „ | 2,9 |
| 3 | „ | 3,1 |
| 4 | „ | 2,2 |
| 5 | „ | 1,9 |
| 6 | „ | 1,3 |
| 7 | „ | 1,7 |
| 8 | „ | 1,5 |
| 9 | „ | 2,4 |
| 10 | „ | 2,4 |
| 11 | „ | 1,5 |
| 12 | „ | 1,8 |

ქალაქში 1,9

### ვაჭრობა და მრეწველობა

ტფილისის უკანასკნელ აღწერის წინასწარ ცნობების მიხედვით აღრიცხულია სავაჭრო წარმოებანი 5607, ამათში საცხოვრებელ ბინებით 398, სამრეწველო წარმოებანი 862 ამათში საცხოვრებელ ბინებით 104, სავაჭრო-სამრეწველო 1235, ამათში საცხოვრებელ ბინებით 144.

1921 წლის დასაწყისს და 1922 წლ. გაზაფხულზე წარმოებულ იქმნა ტფილისის სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების რეგისტრაცია.

უკანასკნელ აღწერის ცნობების წინად წარმოებულ აღწერების ცნობებთან შედარება, გვაძლევს შემდეგ სურათს:

სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა საერთო რიცხვი.

1921 წელს—6827.

1922 წ. გაზაფ. 8181.

1922 წ. 30 ნოემბერს 7704.

ა. რუხაძე,

# წერილი პეტროგრადიდან

(საკუთარი კორესპოდენტისაგან.)

**2. სიძვირე პეტროგრადში.**

უკანასკნელ თვეების განმავლობაში ფასებმა ფართო საჭიროების სურსათ-სანოვაგეზე და ნივთებზე დაიწყო შეუწყვეტელი ზრდა და სიძვირემ მიიღო ძლიერ მწვავე სახე. დღეს პეტროგრადში ერთ-ერთ სამუდამდღეო და სჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს საკითხი სიძვირესთან ბრძოლისა, მაგრამ აქნობამდის მიღებულმა ზომებმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს მასზე და თუ ზოგიერთხელ სახელმწიფო სავაჭროები ცდილობდენ თავის ნივთებზე მტკიცე ფასების დადებით შეეჩერებიათ სიძვირის ზრდა, დღეს ეს სავაჭროებიც მისდევენ ბაზარზე არსებულ ფასებს და მხოლოდ ოდნავათ განირჩევიან იმათგან.

ფართო საჭიროების სურსათ-სანოვაგის და ნივთების ფასების აღნიშვნა ამ ორი თვის წინეთ და დღეს დაგვანიხვებს თუ როგორ აიწიეს ფასებმა, მხოლოდ აქნობამდის მიღებულ ზომების აღნუსხვით დავინახავთ რომ ეს ზრდა, თუ სხვაგვარი ზომები არ იქნა მიღებული. არამც თუ არ შეჩერდება არამედ კიდევ უფრო გაძლიერდება.

სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში ბაზარზე არსებობდა შემდეგი ფასები: პურით თეთრი გირვანქა—500 ათასი მანეთი, შავი—120 ათასი, ერბო—1 მილიონი, ხორცი—600 ათასი, რძე ბოთლი—200 ათასი, ფეხსაცმლები—30 მილიონი, კალოშები—10 მილიონი, ნოემბრის შუა რიცხვებში ე. ი. თვენახევრის შემდეგ ფასებმა აიწია შემდეგ ციფრებამდე: პური თეთრი—1,400 ათასი, შავი—500 ათასი, ერბო—7 მილიონი, ხორცი — 1,300 ათასი, რძე — 800 ათასი, ფეხსაცმელები—150 მილიონი, კალოშები—22 მილიონი, ამნაირად ფასებმა აიწიეს 3—4—5 ჯელ. ბაზრის ფასების ამატებას უკან გაყვა სახელმწიფო სავაჭროების დადგენილი ფასები: ყოველ ორშაბათს ახალ ამბათ მოყვება ახალი ფასების გამომუშავება, რასაკვირველია არა ნაკლებ 100 პროც. აწევისა, ამნაირად სახელმწიფოს და ბაზრის ვაჭრობა ხელი-ხელ ჩაკიდებულ გამოიწვიეს უცნაური ვაკხანალია ფასების ქანაობისა გადიდებისაკენ, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ-ჯერობით უძლურია მთავრობა.

მიზეზებს ეგეთ შეუჩერებელ ფასების აწევისას სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულების მეთაურები, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ ვაჭრობა-მრეწველობასთან, სხვა და სხვას ასახელებენ და ამის თანახმად მათ მიერ ნარჩევი ზომები სულ სხვა და სხვა ხასიათისაა. აზრთა ეგეთი სხვა და სხვაობა, ნამდვილ მიზეზების დღემდის გამოურკვევლობა, ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ-ჯერობით ვერ არის სწორ ნიადაგზე დაყენებული და არც შეიძლება რომ დაყენებულ იქნეს სანამ ნამდვილი მიზეზები არ იქნება აღმოჩენილი.

სახელმწიფო ბანკი სიძვირის მიზეზად აღნიშნავს ბაზარზე ზედმეტი ფულის ნიშნების გამოშვებას და მანეთის სტაბილიზაციის მოხდენისათვის რჩევას იძლევა ემისიის შემოკლებისას. მართლადაც სახელმწიფო ბანკი უკვე შესდგომია ემისიის შემოკლებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ ზომას საგრძნობი შედეგები არ მოუცია ფასების აწევის წინააღმდეგ.

„პეტროგრადი" ფასების აწევის მიზეზათ აღნიშნავს სახელმწიფოს მიერ 250 მილიონ ფუთ ხორბლის შეგროვებას სასურსათგადასახადის სახით ₍ ამავე დროს სახელმწიფო ბანკისათვის უფლების მისცემს შეიყიდოს დანარჩენი ხორბალი, რომელ მიზნისათვის უკანასკნელს მიულია 75 ტრილიონი მანეთი. მიუხედავად კარგი მოსავლისა, 250 მილიონ ფუთ ხორბლის შეგროვების შემდეგ სოფლებში ცოტაღა დარჩებოდა გასაყიდელი ხორბალი, ყოველ შემთხვევაში არა იმდენი, რამდენის შეძენაც შეიძლებოდა 75 ტრილიონ მანეთით. ეს ფული გაბნეულა დამზადებელთა ხელში, მოთხოვნილებას აუმატია, ხორბალი კი საკმაოდ აღარ დარჩენილა ხალხში, რომ ეს მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა და ამის გამო ფასებს დაუწყია აწევა უპირველესად ყოვლისა ხორბალზე. ხორბალზე ფასების აწევას შედეგად მოყოლია ქალაქის ნაწარმოებზე ფასების აწევა და ამნაირად ერთი მეორეზე გადაბმული შეუჩერებლად მირბის ზევით და ზევით ფასები სოფლის და ქალაქის ნამუშევრებზე რა ზომებს იღებს მთავრობა სიძვირის ზრდის წინააღმდეგ.

როგორც აღვნიშნეთ ზევით პირველი ზომის მიღება უკვე დაწყებულია ემისიის შემოკლება. ამავე დროს მიქცეულია ყურადღება ქარხნების ნაწარმოებთა რაოდენობის გადიდებაზე და იმ დონემდის მიყვანაზე რომ გამომუშავებულ და ბაზარზე გამოშვებულ ნაწარმოებთა რაოდენობა აღემატებოდეს რეალურ მოთხოვნილებას. ცხადია ეგეთ შემთხვევაში ფასები ამ ნაწარმოებზე დაიწევს, რაც ბუნებრივად გავლენას იქონიებს სოფლის მიერ მონაწილებ სურსათ-სანოვაგის ფასზე.

ორთავე აღნიშნული ზომა ეგეთი სიხისანი არიან, რომ ვერც დღეს და ვერც

ახლო მომავალში ვერ მოახდენენ შესაფერის ეფექტს, პირველსად ყოვლისა იმ მიზეზით, რომ ემმისიის შემოკლებას და ქარხნების ნაწარმოებთა გადიდებას ძლიერ დიდი დრო უნდა, მისი ეფექტი თანდათანობითა, თითქმის შეუჩნეველ. აქ კი ჩვენ საქმე გვაქვს ფასების ეგეთ აჩქარებულ ზრდასთან, რომლის წინააღმდეგ საჭიროა რადიკალური, სწრაფ-მოქმედებითი ზომები და სანამ ეგეთი ზომები არ არის გამონახული და მიღებული ბრძოლაც მასთან უშემდეგო ხდება.

ამნაირად მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი სიძვირე პეტროგრადში, რაც მცხოვრებლებს ძლიერ აფიქრებს მომავალზე.

**ტ. ჩუბინიძე.**

პეტროგრადი.
21 ნოემბერი 1922 წ.

## მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

### დეკრეტი № 16.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს ყოფილ საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლებზე დარჩენილი ვალი მსესხებელთ გადახდეს ქვემო აღნიშნული დებულების თანახმად:

1. დაგირავებულ სახლებზე არსებული ვალი, გამოანგარიშებული ოქროს კურსის მიხედვით, გადახდილ უნდა იქნეს მსესხებლის მიერ ხუთი წლის განმავლობაში, დაწყებული 1923 წლის იანვრის 1-დან.

2. ვალის რაოდენობა განისაზღვროს თავნი ვალის იმ ნაშთით, რომელიც დარჩა მსესხებელზე 1921 წლის ივნისის 30-ისთვის.

3. წინა მუხლში აღნიშნული თავნი ვალის რაოდენობიდან მსესხებელ გადაიხდეს მხოლოდ 10 პროცენტი.

4. ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარის რწმუნებულს საქართველოში უფლება მიეცეს მე 3 მუხლში აღნიშნული ვალის შემცირებისა 20 პროცენტით, უკე თუ მამულის დაგირავება მოხდა მსოფლიო ომის დროს 1917 წ. მარტის 1-დე; 30 პროც. უკე თუ მამულის დაგირავება მოხდა 1917 წლის მარტის 1-ს შემდეგ; და 20 პროცენტამდე უკე თუ დაგირავებული მამულის მდგომარეობის გამო მსესხებელი ვერ შესძლებს აღრიცხულ ვალის გადახდას. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანხმობა.

5. გადასახადად აღრიცხული ვალი დაყოფილ უნდა იქნეს ათ ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდის ვადად დაინიშნოს 1923 წ. აპრილის 1-ლი; მეორესი—1923 წ. ოქტომბრის 1-ლი და შემდეგ ამავე წესით ყოველი ნახევარი წლის დამლევამდე.

6. უკეთუ მსესხებელი ვალს გადაიხდის აღნიშნულ ვადაზე ადრე სრულიად ან ნაწილობრივ, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულს საქართველოში უფლება ეძლევა ასეთ მსესხებელს მესამე მუხლში აღნიშნული თავნი ვალი, თავის შეხედულებით, შეუკვეცოს 20 პროც.-მდე.

7. მსესხებელს არ უნდა გადახდეს სესხის სარგებელი, მაგრამ თუ მან ვადაზე გადასახადი არ შეიტანა, მას გადაჰხდება საურავი ვადაზე შეუტანელ გადასახადზე, ყოველ გადაცილებულ ნახევარ თვეში ნახევარი პროცენტი.

8. ვადაზე შესატანი გადასახადის და საურავის ჯამი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ოქროს კურსით, რომელიც გამოქვეყნდება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულის მიერ უგვიანეს ერთი თვისა ხვედრი შეტანის ვადამდე. (§ 5).

9. დაგირავებული შენობები დაზღვეულ უნდა იქნეს ცეცხლისაგან, თანახმად არსებული კანონებისა.

10 თუ მსესხებელმა დაწესებულ ვადაზე გადასახადი არ შეიტანა, მას მიეცემა ორი თვის შეღავათი, ხოლო შემდეგ მამული გამოცხადებულ იქნება საჯარო გასასყიდად; უკე თუ მამულზე პირველი საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, უნდა მოხდეს მეორე საჯარო ვაჭრობა არა უგვიანეს ერთი თვისა და თუ მეორე საჯარო ვაჭრობაზე მამული არ გაიყიდა, იგი დარჩება სახალხო ბანკს.

**შენიშვნა 1:** სესხის და საურავის ჯამს უნდა მიემატოს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი.

**შენიშვნა 2:** სახალხო ბანკზე დარჩენილ შენობებს განაგებს სახალხო ბანკის გამგეობა, განსაკუთრებული წესების თანახმად,

11. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულს საქართველოში დაევალოს ამა დეკრეტის განსახორციელებლად შეიმუშაოს სათანადო წესები.

12. მთელი თანხა, შემოსული დაგირავებულ სახლებზე თავნი ვალის დასაფარავად და საურავი ამ ვალისა, ხარჯების გამოკლებით,—ჩაირიცხება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშში, მოჰხმარდება საქართველოში დანგრეულ შარაგზების და ხიდების აღდგენას და სახელმწიფო გამომცემლობას.

13. დეკრეტი ესე არ შეეხება ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციის და რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ მამულებს.

14. უკეთუ მესაკუთრეს მამული ჩამოერთვა მე-13 მუხლში აღნიშნული წესით, ბანკის ვალის გადახდის შემდეგ მთავრობა ვალდებულია დაუბრუნოს მამულის პატრონს გადახდილი ვალი მისი შეტანის დროს არსებული ოქროს კურსის მიხედვით, 12 პროცენტიტურთ წლიურად.

15. ამა დეკრეტის განხორციელება დაევალოს სახალხო ბანკს, რისთვისაც მას ნება ეძლევა სათანადო განყოფილების გახსნისა და შტატის მოწვევისა.

16. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ზინაიდა ილიას ასული ჯაშის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. № 368.

## მარიამ ხეფე მაჩაბლის ასული

გარდაიცვალა 28 დეკემბერს, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მიცვალებულის ბიძაშვილი ზურაბ ანეპოდისტეს ძე მაჩაბელი, ბიცოლა სოფიო ეკარისტეს ასული მაჩაბლისა, რძალი ოლღა პავლეს ასული მაჩაბლისა და ბიძაშვილი ქეთევან ანემპოდისტეს ძე ბაგრატიონისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ბებუთოვის ქუჩა 37), გამოსვენება ცხედრისა მოხდება კვირას 1 დეკემბერს დილის 11 ნახ. საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა წირვის შემდეგ წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე. 1—1

გულდაწყვეტილი მშობლები **იასონ სახვას ძე და თამარ ამბაკოს ასული**, **დაიკო ქეთინო და ძამიკო გიგო გ ა ბ ი ლ ი ა** აცნობებენ თავის ნათესავებს, მეგობრებთა და ამხანაგებს, რომ მათი უსაყვარლესი არსებანი

### როსტევან იასონის ძე გაბილაია
(ოქროპირ—გულიკო—გულკელა—გუჯუ)

და

### აბესალომ იასონის ძე გაბილაია
(კუკური—კუკუ—ტოტა—ტოტიკო)

დასაფლავებული იქნებიან თფილისში 31 დეკემბერს წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე, ვერაზე. გამოსვენება მოხდება დილის 11 საათზე საკუთარი ბინიდან: **უნივერსიტეტის ქუჩა სახ. № 4, უნივერსიტეტის გვერდით.**
2—1 პანაშვიდი იქვე შაბათს, 30 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე. № 368

ამიერ-კავკასიის რკ. გზების
## ტფილისის ბარგის სადგური
ილებს გადასატანად ტვირთებს რკინის გზის სადგურიდან შემდეგი

### ფასებში:

| | მან. ფუთზე |
|---|---|
| ერევნის მოედნამდე . . | 15.000 |
| მოედნამდე . . . . . | 15.000 |
| ვორონცოვის მოედნამდე. | 10.000 |

სხვა პუნქტებამდე **შეთანხმებით.**

ყოველ დღე საბარგო სადგურზე იმყოფება ქალაქის სადგურის წარმომადგენელი ტვირთების გადატანის მონდობილობათა მისაღებად.

5—1

**ქალაქ ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო**
აცხადებს, რომ ახლო მომავალში

## საჯარო ვაჭრობით

გაცემული იქნება დეზერტირის ბაზართან, ანდრეევის და საბაჟოს ქუჩების შუა მდებარე თავისუფალი ადგილები, ბაზრის მოსაწყობად. შეჯიბრების დღე იქნება ცალკე გამოცხადებული

პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივან გ. ახვლედიანთან ოთახი № 14. № 244. 3—1

## სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია
ამით აცხადებს, რომ კვირას, 31 დეკემბერს,

### ყველა საკომისარიატოებს

**სამიხამართო მაგიდებში იქნებ მუშაობა სამოქალაქო გადასახადის მიღების შესახებ.** დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი **კომისია.**

№ 243 1—1



# განცხადება
## სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ[illegible] კომისიის

**თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომისა** და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა (№ 25, 7 დეკემბრის 1922 წ.) სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია აცხადებს ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ შემდეგს:

1. სახლის პატრონებთ ან მათ მოადგილეთ ევალებათ გადამხდელთა სიების სასწრაფოდ შედგენა, როგორც ეს აღნიშნულია ქალ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებაში ა. წ. დეკემბრის 19 თარილით № 15.

2. თითეულ სახლში უნდა შედგეს 5 სია: 1) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც ილებენ ჯამაგირებს მე-9 კატეგორიამდე თანჩათვლით, 2) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც ილებენ ჯამაგირს მე 9 კატეგორიაზე ზევით, 3) ვაჭარ-მრეწველებზე, 4) დანარჩენ მოქალაქეებზე და 5) იმ პირებზე, რომლებიც დეკრეტის ძალით განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.

3. სიები უნდა შედგეს შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

| № № რიგ. | გვარი, სახელი და მამის სახ. | რას აკეთებს | სამოქალ. გადას. ოქროთი | შენი[illegible] |
|---|---|---|---|---|

4. მუშა-მოსამსახურეებს და გადასახადისაგან განთავისუფლებულებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული მოწმობები, პროფ-კავშირებიდან და სათანადო [illegible] წესებულებიდან.

5. სიები, პირადობის მოწმობები და სპეციალური მოწმობები სახლის [illegible] გნებთან ერთად უნდა იქმნენ წარმოდგენილი სათანადო კომისარ. სამისამართო მაგიდაში შეკრებილ გადასახადის თანდართვით.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ მუშა-მოსამსახურეები სიების შედგენის დროისთვის ვერ მოასწრებენ მოწმობების აღებას, სიები უნდა შედგეს და ნარჩენებზე, მუშა-მოსამსახურეებზე კი უნდა შესდგეს და[illegible]ტებითი სიები ფულის კურსი—250 მან. ქართული ბონებით 31 დეკემბრამდე.

6. სიით № 1 იხდიან 50 კ. ოქროთი.
„ 2 „ 1 მან. ოქროთი
„ 3 „ 3 მან. „ „
„ 4 „ 1 მან. და 50 კ. ოქროთი

**სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.**

№ 247. 2—1.

## თანახმად ქალ. ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ა. წ. 27 დეკემბრიდან, ყველა ბილიარდები, რომლებიც იყო საბილიარდებში, რესტორანებში და კლუბებში, სავაჭრო სამრეწველო ბინების მუნიციპალიზაციის გამოცხადების დღეს, აღებულ უნდა იქმნან აღრიცხვაზე, როგორც ზემო აღნიშნული მუნიციპალიზაცია ქმნილ ბინები კუთვნილება ყველა თავისი მოწყობილობით (შარები და სხ.) და გადაცემულ უნდა იქმნეს გადასახადთა ბიუროს განკარგულებაში. აღრიცხვა ხდება გადსახადთა ბიუროს რაიონულ აგენტების მიერ შედგენილ [illegible]ტების მიხედვით. ის პირნი, რომლებიც დაფარავენ ბილიარდებს აღრიცხვისაგან, მიცემულ იქმნებიან პასუხის გებაში.

№ 245. 2—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზების
ტფილისის ქალაქის
## სადგური
### ილებს ცოტა და დიდი ზნით
### ტვირთებს და საოჯახო ნივთებს
## შესანახად

**საწყობებში სადგურზე და ქალაქში ერევნის მოედანზე ყოფილ თამამშევის ქარვასლაში.**

### შეღავათიან პირობებში.

5—1

## აღმასკომის გადასახადთა ბიურო
ამით აცხადებს, რომ

### შაბათს, 30 დეკემბერს დღის 12 საათზე

აღმასკომის საკრებულო დარბაზში დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა
## სასტუმრო „ავრორაზე“

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში (ოთა. № [illegible]
2—2 № 242

### დოქტორი გ. მებრაბიანცი

„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის ელექტრონის წამლობის კაბინეტი
იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.
№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23.